

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

- 1.1 ფინანსები (1 ვაკანსია - პროფესორი; 1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 1.2 თურქული ენა (2 ვაკანსია - პროფესორი; 1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი); მათემატიკური ლოგიკა (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 1.3 პროგრამირება - (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 1.4 საერთაშორისო საჯარო სამართალი - (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 1.5 ადამიანის უფლებათა სამართალი - (1 ვაკანსია-ასისტენტ პროფესორი);
- 1.6 ბიზნესის ადმინისტრირება (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 1.7 მარკეტინგი (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი) .

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- 2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
- 2.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- 2.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
- 2.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური

მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2022 წლის 18 ივლისიდან - 2022 წლის 21 ივლისის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
 - 4.1. ბიოგრაფია (CV);
 - 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
 - 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
 - 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
 - 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
 - 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი -
<https://form.jotform.com/221514664505452>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2022 წლის 22 ივლისიდან - 2022 წლის 27 ივლისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2022 წლის 28 ივლისიდან - 2022 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირებთან შეთანხმების საფუძველზე.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი
ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge